# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 284 კვირა, 20 დეკემბერი 1909 წ. № 284

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია დაუბრუნებს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**


16 დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი

## ნიკოლოზ ანდრიას ძე ქალანთაროვი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთა და განსვენებულის მეგობართ მეუღლე მისი **მარიამ სოლომონის ასული ქალანთაროვისა** შვილებითურთ.

პანაშვიდი დღეს, 19 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე (ფრეილინის ქ. № 7.) გამოსვენება ცხედრისა 20 დეკემბერს, დილის 10 საათზე მოლნინის წმ. გიორგის ეკლესიაში, აბასაბადის მოედანთან. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. (2—795—2)

ულრმეს მადლობას ვწირავ მათ, ვინც პირადად ან წერილობით თანაგრძნობა გამომიცხადეს ჩემს ძვირფას მეუღლის **ეფროსინეს** (იგივე კატო) გარდაცვალების გამო 12 ამა დეკემბერს დ. ყვირილაში. **ბიქტორ გაჩეჩილაძე.** (1—გაჩ.—1)


## ჭიათურის ქართულ-დრამატ. საზოგადოება

**კვირას, 20 დეკემბერს, 1909 წელს.**

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოდ გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა**

ჭიათურის სცენის მოყვარეთა მიერ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ხანუმა

კომედია 4 მოქმედებად ა. ცაგარლისა,

წარმოდგენის შემდეგ **პოპური.**

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**

რეჟისორი ს. ტარუაშვილი. ადმ.-ტორი **ჭიათ. ქართ.-დრ. ს. გამგეობა.**

ხვალ, ორშაბათს, გამოვა პირველი ნომერი რუსულ გაზეთის

## „ეჟენედელნოე ობოზრენიე“-სი

(«ЕЖЕНЕДѢЛЬНОЕ ОБОЗРѢНIЕ»)

თანამშრომლობენ და მახლობელ მონაწილეობას იღებენ შემდეგი პირები: კონსტანტინე აბაშიძე, იაკობ ანდღვი, დავით განკევიჩი, ფ. გორნ. (Ciris), გრიგოლ დიასამიძე, დომინო, ვიაჩესლავ ეგორიევი, სერგეი ზვანოვი, ალექსანდრე ყანჩელი, ლევან ყიფიანი, ჰუსეინ მინასაზოვი, ვლადიმერ ნ—სკი (ზორ), ილია ნაკაშიძე, ნიკო ნესტოროვი, ალექსანდრე სალარიძე, ივანე სუნდუკიანცი და სხვანი. (1—1)

## ძმ. ნიკიტინების ცირკი



**კვირას, 20 დეკემბერს, 1909 წელს**

მეორე დიდი წარმოდგენა პირველ-ხარისხოვან ქალ და კაც მსახიობთა მონაწილეობით. მსახიობნი მოვიდნენ საზღვარ გარეთის ცირკებიდან და იპოდრომებიდან.

### სრულიად ახალი დასი

**გამოჩენილ არტისტ ქალებისა და კაცებისა.**

**დასი პირველად გამოდის რუსეთში. სრულიად ახალი ტფილისში!**

წარმოდგენა 3 მოქმედებად. დასასრულ

### დიდი ბალეტი

ვარშავის სახაზინო თეატრის ბალმეისტრის **ლისეცკის** ხელმძღვანელობით. დაწვრილებით პროგრამებში.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.**

### ცირკში დაუკრავს საკუთარი ორკესტრი.

კასა ღია არის

ცირკის დირექტორი **აკიმ ალექ. ნიკიტინი.**

(0—6.—2) ცირკის გამგე **რ. ს. გამსახურდია**

სახაზინო თეატრის წინ დაიკარგა კონვერტები ბილეთებით 29 დეკემბრის

## ისტორიული საღამოსი

ვთხოვთ ყველას, ვინც იპოვა წარადგინოს „ჯეჯილის“ რედაქციას (არტილერიის ქუჩა, № 5), წინააღმდეგ შემთხვევაში ბილეთების შემდეგი ნომრები 6-დან 18-დის და 201-დან 214 ტამდის არ მიიღება „კრუჟოკში“ შესასვლელ ბილეთად. (2—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი .რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—6.—67)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—229)

## გლეხი-კაცის ისტორია

**მიიღება ხელის მოწერა გლეხი-კაცის ისტორიაზე**

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების“ და „მომავლის“ ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія, Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—12)

## ისარგებლეთ შემთხვევით!

ლიკვიდაცია

ლიკვიდაციის გამო

## ა. ტერტეროვის ფეხსაცმელების მაღაზიის,

რომელიც სომხის ბაზარშია, № 6, ადელხანოვების მაღაზიის გვერდით. რადგან ვსპობთ ვაჭრობას, 23 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე დანიშნულია საბოლოო ვაჭრობა მაღაზიის ყველა საქონლისა: ქალთა, ვაჟთა და ბავშვთა ფეხსაცმელისა. საფაბრიკო ფასს დააკლდება 25%—50%. ფასები შეუვაჭრებლად. გთხოვთ, პირადად დარწმუნდეთ.

პატივისცემით **ა. ა. ტერტეროვი.**

## ისარგებლეთ შემთხვევით!

(5—ზალ.—2)

## 500 მანეთი ჯილდო

იმას, ვინც იპოვნის 14 დეკემბერს ღამე ჩვენი ბინიდან მოპარულ ბრილიანტის, ოქროს და ვერცხლის ნივთებს: ბრილიანტის ბეჭედს, ოქროს საათს, ვერცხლის სუფრეულს და სხვას, სულ 2,825 მანეთისას, ან ვინც გვიჩვენებს იმას, თუ სადა სცხოვრობს ნივთების მომპარავი მოახლე ქალი პელაგია მერეშკინა.

სოლოლაკის ქუჩა, № 6, ბინა 2, ტერ-სააკოვი. (1—1026—1)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—18)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—77)

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში.** იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—6.—9)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—325)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—77)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კგ.—131)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—90)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## ქუთაისი

**მასაჟით სამკურნალო კაბინეტი მ. ტ. ბალანჩივაძისა.**

ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—6.—27)

## კაბინეტი

**ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—135)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28, **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—64)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს,

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**მ. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—87)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ნერ., ქალ., ყოველდღე 1—2

**აბულადიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

**კალამქაროვი**—ნერ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (00—6.—129)

**ექიმი გ. მაგაკიანი** **შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—62)


ივანე იაკობის ძე

## დოლგოლენკო

გადავიდა საცხოვრებლად ქალაქ გორში, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი № 10. კისრულობს საწარმოებლად სამოქალაქო, სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს, აგრეთვე საქმეებს საგლეხო დაწესებულებებში. (3—972—2)

**სახალხო უნივერსიტეტი**

(სახალხო სახლი)

კვირას, 20 დეკემბერს, ექიმი ე. გ. ფედოროვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ფიზიოლოგია დოლოლოობისა“.

**დასაწყისი $11^1/_2$ საათზე.**

ადგილების ფასი 5 კ. და 10 კ. (2—2)

**ქ.-კ. საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ კვირას, 20-ს დეკემბერს, სამეურნეო ბანკში დანიშნულია

## საზოგადო კრების

გაგრძელება

**განსახილველი საგნები:**

1. 1908 წ. ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.
4. მიღება საზოგადოების ახალ წევრებისა.

კრება დაიწყება დილის 11 საათზე.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 21 ამ დეკემბერს მ. ს. არამიანცის პავილიონში იხსნება ერთი განყოფილება მხოლოდ შინაგან სნეულებით ავადმყოფ მამაკაცთათვის. სხვა განყოფილებათა—ქირურგიულ და ქალთა თერაპევტიულის—გახსნის შესახებ ახლო მომავალში იქნება გამოცხადებული.

ექიმობისათვის საზოგადო პალატებში დაწესებულია 15 მანეთი თვეში, ხოლო იმათთვის, ვისაც ცალკე სურს, განსაკუთრებული ფასია. ღარიბები განთავისუფლებულნი იქნებიან ფასისაგან ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებულ წესების თანახმად. (3—6.—1)


## იყიდება

აგური, კრამიტი, ხის მასალა. მასალა არის საბურთალოზე, გაბეევის ბაღში. ფასის გაგება შეიძლება ნიკოლოზის ქუჩაზე, № 78, მაღაზია გარანოვისა. (2—794—2)

**ინტელიგენტის ოჯახი** ელისაბედის ქუჩაზე, № 69, კარგს საჯგომში, **მიიღებენ ორს მოწაფეს იაფად.** ოთახი ნათელი და დიდია (შესავალ კარების მარჯვენა ზედა კარი). (5—5)

**ვკისრულობ დაცვას**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას ხაზინის ბანკში და სხვა დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საამკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (ჰ.—6.—17)


## ტფილისი, 20 დეკემბერი

დღეს დიდი და საყურადღებო საგანი აქვს განსახილავი ქ.-კ. საზოგადოების კრებას. ეს საგანია ეროვნულ მუზეუმის დაარსება. დადგა დრო, როდესაც ქართველმა ხალხმა თავი უნდა მოუყაროს წარსულის ნაშთებს, სამწერლო და სამხატვრო ნაწარმოებებს და ყოველივე ეს მოათავსოს შესაფერ ბინაში.

მაგრამ, გარემოების მიხედვით, ამ აზრის განხორციელება ერთბაშად შეუძლებელია. რიგიან და შესაფერ შენობის აგება ქალაქის ცენტრში დიდ თანხას მოითხოვს. განსაკუთრებით აძნელებს საქმის ვითარებას მიწის უქონლობა. მიწა ძვირია ცენტრალურ ადგილებში. ლაპარაკია, ვითომ ქართველ მეცენატებს განზრახვა ჰქონდეთ აჩუქონ მიწა „საზოგადოებას“ მუზეუმის ასაგებად. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ ხნობით ცარიელი ლაპარაკია. ამბობენ იმასაც, რომ ამ ლაპარაკს შეიძლება პრაქტიული შედეგიც მოჰყვეს, თუ გამოირკვა, რომ მუზეუმის ასაგებად საჭირო თანხა მოიპოვება. ეს ჩვენ თვით გამგეობის წევრებისაგან მოგვისმენია.

რაიც შეეხება მუზეუმის შენობის ასაგებ თანხას იგი, საუბედუროდ, დიდი არ არის—12,000-დეა. მუზეუმს

აქვს კიდევ 2000 მანეთი, რომელიც თ.-აზნაურობამ აღუთქვა ყოველწლივ. ამ ფულით ჭავჭავაძისეულ სახლის გადაკეთება შესაძლებელი და მუზეუმის დროებით იქ მოთავსება. თუ სხვა გზა არ არის, ასედაც უნდა გადასწყდეს, თუმცა ძლიერ მოუხერხებელია განაპირა ადგილში იმგვარ დაწესებულების მოთავსება, რომელიც ქალაქის შუა გულში უნდა იყოს.

მაგრამ თუნდაც ამგვარად გადასწყდეს მუზეუმის საკითხი, ეს გადაწყვეტილება სამუდამოდ არ უნდა ჩაითვალოს და კრებამ უსათუოდ უნდა ითათბიროს ეროვნულ მუზეუმის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ. და არა მარტო ითათბიროს, არამედ პრაქტიკული საშუალებანიც წამოაყენოს საქმის განსახორციელებლად.

პრაქტიკულ საშუალებათა დასახელების დროს კრებამ უნდა გადასწყვიტოს „საზოგადოების" ზოგიერთ თანხის ბედი. თავდაპირველად ილიას ფონდის დანიშნულება უნდა გადასწყდეს (15,000 მ.). ჩვენის აზრით ილიას ფონდი მუზეუმის ფონდს უნდა მივუმატოთ. ამ ფულით განზრახული იყო სკოლების დაარსება. მაგრამ უკეთესი იქნება ეს ფული მუზეუმისთვის გადაიდოს. სკოლების დაარსების საქმეს მომავალი ერობაც გაუძღვება. ამ თანხის დახარჯვა ამ საქმეზე კი უმნიშვნელო იქნება, რადგან თანხა მცირეა და განათლების საქმეს მაინც და მაინც ხელს ვერ შეუწყობს. მუზეუმის თანხას კი ბევრს შეჰმატებს. გარდა ამისა, ილიას ფონდის ამგვარად მოხმარება საუკეთესო პატივისცემა იქნება ილიას სახელისა, ეროვნულ მუზეუმში ერთ-ერთ ზალას ილიას სახელი დაერქმევა და ამ ზალაში შეგროვილი და მოთავსებული იქნება ყოველივე რაც ჩვენი მგოსნის მწერლის ცხოვრებას და სამწერლო მოღვაწეობას შეეხება.

აქვს საზოგადოებას კიდევ სტამბის თანხა (6000 მ.), რომელიც უნდა მოხმარებოდა „საზოგადოების" სტამბის დაარსებას. ესაჭიროება თუ არა „საზოგადოებას„ საკუთარ სტამბის დაარსება, საეჭვო კითხვაა. ყოველ შემთხვევაში ამ სტამბის დაარსება დღევანდელ პირობებში აუცილებელი საჭიროებად არ ჩაითვლება. 6000 მანეთის მიმატება მუზეუმის თანხისათვის კი დიდი რამეა.

ძმ. ზუბალაშვილების თანხა (10.000) დღეს სტიპენდიების საქმეს ხმარდება იმათ ვისაც სტიპენდია მიეცათ და ვინც უკვე სწავლაშია, რა თქმა უნდა სტიპენდია ველარ წაერთმევათ. მათ „საზოგადოებამ" სწავლა უნდა დაამთავრებინოს. მაგრამ მომავალ წლიდან შეიძლება სტიპენდიების მოსპობა ახალ პირებისთვის და ამ თანხის მოხმარება საქმისთვის. ვგონებთ ბ-ნნი ზუბალაშვილნიც არ იქნებიან ამისი წინააღმდეგნი, მიიღებენ რა მხედველობაში იმ სამწუხარო გარემოებას, რომ ჩვენში სწავლის მისაღებად რუსეთში თუ საზღვარ-გარედ წამსვლელი ბევრია და სამოქმედოთ უკან დაბრუნებულთა რიცხვი კი უმნიშვნელოა.

აი ყოველივე ეს უნდა მიიღოს საზოგადო კრებამ მხედველობაში და ერთხელ და სამუდამოდ გადასწყვიტოს ეროვნული მუზეუმის დაარსება. ჩვენ გვონია, რომ ამისი წინააღმდეგი კრება არ გახდება. ჩვენ პირობებში მყოფ ერს უნდა ჰქონდეს თავის დაცვის იარაღი, ხოლო ერის საუკეთესო იარაღი ყოველთვის იყო და იქნება ამ ერის ძალთა ორგანიზაცია. რაც უფრო მკვიდრი და რთული ორგანოები აქვს ამა თუ იმ ერს, მისი მომავალი და სიცოცხლე უფრო უზრუნველყოფილია. ქართული საერო მუზეუმი ერთი ამ რთულ ორგანოთაგანია. იგი იქნება ხიდი წარსულისა, აწმყოსა და მომავალს შუა გადებული. ბიბლიოთეკა მუზეუმის ზრდა-განვითარება გახდება ქართულ თვითცნობიერების ბარომეტრად, გრძნობიერ ინსტრუმენტად. და ეს საქმე დღეს უნდა გადასწყვიტოს საჯარო კრებამ.

არის კიდევ ერთი საკითხი, მართალია, მეორე ხარისხოვანი, მაგრამ საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. განზრახულია წ.-კ. საზოგადოების გამგეობასთან ქალთა კომისიის არჩევა. საუბედუროდ, პრესაში არავითარი ცნობები არ გამოუქვეყნებიათ იმის შესახებ, თუ რა საქმე ექმნება დაკისრებული აღნიშნულ ქალთა კომისიას. ჩვენ ამ კომისიის წინააღმდეგნი არა ვართ, პირ-იქით ვეგებებით ქალების სურვილს, ხოლო ერთი რამ კი აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია. წინდაწინვე განსაზღვრული უნდა იყოს ის საქმე, რომლისთვისაც ირჩევენ ხსენებულ კომისიას. ინიციატორებს აშკარაა ეს საგანი უკვე გამორკვეული ექნებათ, ხოლო, ვიმეორებთ, საზოგადოებამ არა იცის-რა ამის შესახებ. ასეა თუ ისე კრებას გააცნობენ კომისიის არჩევის მიზანს და აარჩევინებენ კიდევაც (როგორც ამბობენ) 9 წევრს. ჩვენ მოგვივიდა სია 13 ქალისა, რომელთა წრიდან განზრახულია 9 წევრის არჩევა. ამ სიას ვბეჭდავთ ქვემოდ ახალ ამბებში. ამ სიის წინააღმდეგი არა გვეთქმის-რა, ხოლო არ ვიცით, არიან თუ არა ყველანი საზოგადოების წევრნი.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამას წინად მკითხველთ გავაცანით „სტამბულსკაია ნოვოსტი", ახალი რუსული გაზეთი, რომელსაც ოსმალები სცემენ სტამბულში. ვწერდით, რომ გაზეთს აზრადა აქვს რუსულ ენაზე გაარკვიოს ოსმალეთის საჭირბოროტო საკითხები. გაზეთი პირველ ნომერშივე გვპირდებოდა ეროვნულ საკითხის გარკვევას ახალგაზრდა ოსმალთა თვალსაზრისით. ეხლახან მოვიდა „სტამბულსკაია ნოვოსტის" 4 დეკემბრის ნომერი, სადაც, სხვათა შორის, მოთავსებულია მეთაურ წერილად „ოტომანიზმი და ეროვნებათა საკითხი" კილიკიონ ეფენდისა, ავტორი სწერს:

კონსტიტუციის დამყარებიდანვე უცხოეთის გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა წ.რილები ოსმალეთის ვითარებაზე. გაზეთები ეჭვის თვალით უყურებდნენ ოსმალეთში მყოფ წვრილ ერთა ინტერესების უზრუნველყოფას ახალ რეჟიმის შემოღების ზემდეგ. რა პირობებში იქნებიან წვრილი ერები, რამდენად უზრუნველყოფილი იქნება მათი დამოუკიდებელი არსებობა—აი საკითხები, რომელიც ხშირად გაისმოდა გაზეთებში... მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ იქ, სადაც აბსოლიუტიზმის დროს წვრილმა ერებმა შესძლეს ეროვნულ ელფერისა და თვისებების დაცვა, თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობის დამყარების დროს ეს ერები რაიმე საფრთხეში ჩავარდნენ. ვინც ამასა ფიქრობს, მას არა გაეგება რა იმისა, თუ რა არის კონსტიტუცია.

ერთის სიტყვით გაზეთი ამბობს კონსტიტუციონურ წყობილების განმტკიცება დიდს გარანტიას აძლევს პატარა ერებსაო. მათი ინტერესები სრულიად უზრუნველყოფილი იქნებაო. თუ კი უფლებრივი წესწყობილება დამყარდება, ნაცვლად აბსოლიუტიზმისა, რასაკვირველია, პატარა ერებისთვისაც კარგი იქნებაო:

შეიძლება იყვე ალბანელი, ბერძენი, სომეხი, ებრაელი, ბოლგარი, ქურთი, ჩერქეზი, ლაზი და სხვა და ამავე დროს ოტომანიც იყო. სხვა და სხვა ერებს შეუძლიანთ თავიანთი ეროვნული თავისებურება შეინარჩუნონ და ამავე დროს ოტომანებიც იყვნენ.

რას ნიშნავს ეს ოტომანობა? რას შეიცავს იგი? ანიჭებს რაიმე უფლებას პატარა ერებს თუ არა? გაზეთი ასე განმარტავს ოტომანიზმის ცნობას.

ოტომანიზმი არის საერთო სოციალურ და პოლიტიკურ პირობათა შედეგი. ის იგივეა, რაც „ნაცია" თანამედროვე მოქალაქობრივ მნიშვნელობით... ოტომანიზმი არა სდევნის არც სარწმუნოებას, არც ერთა კანონიერ უფლებას. ამიტომ ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს ის, რასაც სწერენ უცხოეთის გაზეთები, რადგან ჩვენი ახალი რეჟიმი უზრუნველ ჰყოფს საერთო ინტერესებსაც და საერთო აღორძინებასაც.

ასე მსჯელობს გაზეთი. საერთო სოციალურისა და პოლიტიკურ პირობების შედეგია ოტომანიზმიო. მაშ თუ ამავე თვალსაზრისით შევხედავთ გერმანიასა, დავინახავთ რომ გერმანელებისა და თუნდაც პოლონელების საერთო პოლიტიკურმა და სოციალურმა პირობებმა შეჰქმნეს გერმანიზმი, რომელიც სრულებით არა გულისხმობს პოლონეთის სწორუფლებიანობას, გერმანელებთან თანასწორობას. ყველა მიუდგომელი პოლიტიკოსი აღფრთოვანებული იყო ოსმალეთის ხალხთა თავგანწირულ ბრძოლით თავისუფლების მოსაპოებლად სამარცხვინო აბსოლიუტიზმას დასამხობად. ამ ბრძოლაში თავი და თავი ადგილი ახალგაზრდა ოსმალთა პარტიას ეკუთვნის. მთელი მოწინავე კაცობრიობის თანაგრძნობა მათკენ იყო, მაგრამ ამავე დროს ყველასათვის აშკარა იყო, რომ ეროვნული საკითხი გამორკვეული არა აქვთ ახალგაზრდა ოსმალთა მესვეურთ. ეს ემჩნეოდა მოქმედების დროს და ესევე საშინელის სიცხადით მტკიცდება ეხლაც. ამბობენ, პატარა ერთა ინტერესები, უზრუნველ ყოფილი იქნებაო, ეროვნული თავისებურება დაცული. მაგრამ როგორ, რა პოლიტიკური ფორმა იქნება შემოღებული ამ თავისებურობის დასაცავად და თითოეულ ერთა ასაღორძინებლად ამაზე გარკვეულს პასუხს არ იძლევიან. „სტამბულსკია ნოვოსტის" მეთაურის ავტორიც სცდილობს გაარკვიოს ეროვნული საკითხი, მაგრამ გარდა ზოგადი ფრაზებისა, არაფერს რეალურს ასახელებს.

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**სხვა და სხვა კანონ-პროექტები.**

18 დეკემბერს სახელმწიფო სათათბირომ მიიღო ათამდე კანონ-პროექტი. სხვათა შორის, მეორედ მიიღო კანონ-პროექტი გუბერნატორთა და საგუბერნიო გამგეობათა კანცელარიებისთვის მეტი ფულის გადადების შესახებ. სათათბირომ ამავე დღეს განიხილა რამდენიმე დეპუტატის საკანონმდებლო წინადადება სააფთიაქო მონოპოლიის მოსპობის და წამლების ფასის დაკლების შესახებ. მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, მთავრობა ადგენს კანონ-პროექტს აფთიაქების შესახებ; ამ პროექტით აფთიაქების დაარსების საქმეში უპირატესობა საზოგადოებრივ დაწესებულებებს მიეცემათო. მეორე საკანონმდებლო წინადადება დეპუტატებისა შეეხებოდა ყვავილის სავალდებულო აცრას. დეპუტატების წინადადებით, ყვავილის აცრა მარტო შიდა რუსეთში უნდა დაწესდეს, კავკასია და აზია გამოკლებულია. მთავრობის წარმომადგენელმა აქაც განაცხადა, ვადგენთ ამ საგნის შესახებ პროექტსაო. სათათბირომ უარ-ჰყო სავალდებულო აცრა.

**შეკითხვები.**

ამავე დღეს სათათბირომ მიიღო ორი შეკითხვა. ერთი კადეტებისაა და შეხება ოდესის გრადონაჩალნიკის ცნობილი ტოლმაჩევის უკანონო ოქმედებებს დეპუტატის არჩევის დროს. მომხსენებელმა დასაბუთა ეს შეკითხვა, აღნიშნა ტოლმაჩოვის თვით-ნებობა და, სხვათა შორის, სთქვა, თითონ ტოლმაჩოვი გაიძახის: „სადაც მე გავივლი, იქ ბალახი არ იხარებსო". ამ დროს მეწარჯვენე მღვდელმა ვერასკინმა დაიძახა: „გარეკეთ ურიები და ტოლმაჩევი წავა"... სათათბირომ მიიღო შეკითხვა კომისიას გადასცა და ერთი თვის ვადა დაუნიშნა.

მეორე შეკითხვა ს.-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა და შეეხება ნოვოჩერკასის სამოსამართლო პალატის თავჯდომარის ხლოდოვსკის და გამომძიებელის ლიჟინის უკანონო მოქმედებას ეგრედ წოდებულ „ნოვოროსისკ ს რესპუბლიკის" საქმეში. შეკითხვა კომისიას გადაეცა.

დასასრულ წაკითხულ იქნა უმაღლესი ბრძანება სათათბიროს მუშაობის შეჩერების შესახებ 20 დეკემბრიდან 20 იანვრამდე.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპ: შ თა სააგენტოსაგან)

19 დეკემბერი.

## საზღვარ-გარეთ

**ათინა.** სამხედრო მინისტრად დანიშნეს პოლკოვნიკი კონსტანტინიდისი.

**ბერლინი.** შანხაიდან დეპეშით იტყობინებიან: პრინცმა რეგენტმა შინაგან საქმეთა მინისტრს უბრძანა წავიდეს ტიბეტში, [illegible] საქმის მდგომარეობას და შემდეგ წარმოუდგინოს ვრცელი მოხსენება ტიბეტის შესახებ.

**რეველი.** გოგლანდის ახლოს შენიშნეს ჰაეროსტატი. ჰფიქრობენ, რომ ჰაეროსტატი გაფუჭებულია და მალე დაიღუპება. გოგლანდის მიდამოებში გაგზავნეს ერთ საკანონერო ნავი და ერთიც გემი.

**ბუდაპეშტი.** ლუკაჩს ანდრაშისთან და კოშუტთან მოლაპარაკება ჰქონდა სამინისტროს შედგენის შესახებ. ფინანსთა მინისტრმა ბრძანება გამოსცა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი კონსტიტუციას არ ეთანხმება, ამიტომ პირდაპირ გადასახადებს ნულარ მოჰკრეფავთ. ძალით ამ გადასახადების გადახდევინება არ შეიძლება, მაგრამ თავისით ყველას შეუძლიან გადაიხადოსო.

**მადრიდი.** ოფიციალურად გამოცხადდა, 1910 წელს 1909 წლის ბიუჯეტით იხელმძღვანელეთო.

**ტრენტონი** (მისსიფრის შტატი). რკინის გზის სადგურის ახლო ლიანდაგიდან გადავარდა კალიფორნიის ჩქარი მატარებელი. ორ ვაგონს ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ხუთი, მძიმედ დაშავდა 9 მგზავრი.

## რ უ ს ე თ ი

**კიევი.** საგუბერნიო ერობის კომიტეტმა 1911 წლისთვის გადასდო 200,000 მანეთი. ამ ფულით უნდა მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

**პეტერბურგი,** უმაღლესის ბრძანებით, სახელმწიფო საბჭოს საშობაო კანიკულებისთვის დაითხოვენ 20 დეკემბერს. სახელმწიფო საბჭოს სხდომები განახლდება 1910 წლის 11 იანვარს.

**პეტერბურგი.** გასულ სესიაში სახელმწიფო სათათბიროს მოუწონებია 64 კანონ-პროექტი, უარუყვია—5 და უკან დაუბრუნებია სამინისტროებისთვის — 22 კანონ-პროექტი. ამას გარდა, კომისიები იხილავენ 327 კანონ-პროექტს და განსახილველად დამზადებულია 19 კანონ-პროექტი.

---

# სარდაფში კი ეძინათ...

ამაყად აზიდულ და მწვანით დაფენილ გორაკების კალთებზე გაწოლილ ქალაქს ეძინა. ბნელით მოცულ შენობათა უზარ-მაზარი ჩონჩხები ერთმანეთში გადაქსოვილიყვნენ. სუსტად განათებულს და მოუკირწლავ ქუჩებში ხანგრძლივ წვიმების შემდეგ ტლაპო იდგა. ცა იღრუბლებოდა. გორაკების მწვერვალებს შავ-ბნელი ჯანყი გადმოებარდნათ. ცოტას სცრიდა კიდეც. აქა-იქ დარაბების ჭურჭუტანებში სინათურის მკრთალი სხივები გამოჰკრთოდა და მოსაწყენად დაღვრემილ კედლებს ეალერსებოდა. სველი, მაგრამ თბილი ქარი, არხეინად დაქშეოდა და მიძინებულ ქალაქს გულ-ჩათხრობილ ნანას უგალობდა. დრო-გამოშვებით მყუდროებას არღვევდა დაგვიანებულ ეტლის რახა-რუხი, ან ღამის დარაჯის სტვენა.

ქალაქს გარედ, ნესტიანსა და ბნელ სარდაფის პატარა ოთახში არ ეძინათ. ჭილოფით დაფენილს და დროთა-ბრუნვის გამო მორყეულ ტახტზე იჯდა დურგალი პეტრე. დაუვარცხნელი ქერა თმა-წვერი აბურძგვნილი ჰქონდა. საკმაოდ ფართო და გაფითრებულ შუბლზე ნაოჭები დაჰკეცოდა. მოკლე-ტარიან ჩიბუხს გაუმაძღრად აბოლებდა და განზე აფურთხებდა.

პეტრეზე ცოტა მოშორებით, სუფთად დაგვილს, მაგრამ სინესტისა გამო ნახევრად სველს იატაკზე, იჯდა ქმარზე არა-ნაკლებად ჯავრით დატვირთული ნატო. სულ ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე ფერ-მიხდილი ქალი ტუჩებს უაზროდ აცმაცუნებდა. სახე ჩამოსტიროდა. ზურგით კედელს მიჰყრდნობოდა და ოხვრავდა.

ოთახის მეორე მხარეს, კედლის გასწვრივ მიდგმულ ტახტზე ესვენა ახლად გარდაცვალებულ ხუთი წლის ბავშვის გვ-მი გვამს სუფთა ზეწარი ჰფარავდა. ზეწრის ქვეშიდან მოჩვენებასავით მოსჩანდა მილეულ სხეულის მოხატულობა. მიცვალებულის საფერხულთან, ორად მოკეცილ ლეიბზე ეძინა სამი წლის ნუცას. ბავშვს ფორთოხალივით ყვითელი სახე ბალიშში ჩაემალა, სუსტი მკლავები თავ-ქვეშ შემოეწყო და აჩქარებით სუნთქავდა. თითქო შიშობდა უსულო ძმის მახლობლად წოლას. სარკმელთან მიდგმულ მაგიდაზე ელაგა საწამლე შუშები, ჭიქები, ბრინჯაოს სასანთლე და სხვა საოჯახო ნივთები. კუნჭულში ვეებერთელა ხვადი მოკუნტულიყო.

— ჩემო შვილო, ჩემო ბიჭიკო!— დაარღვია სიჩუმე ნატომ და თვალებზე ჩამობარდნული თმა გაისწორა.

პეტრე შეინძრა, ჩიბუხი დარეკა და გარშემო მიიხედ-მოიხედა.

— ოჰ, პეტრე, როდის იქნება, რომ მოსვენება გეღირსოს!

— მოდი, ისევ სახარებას წავიკითხავ!—ჩაილაპარაკა პეტრემ და ამოიხვნეშა. შემდეგ მუთაქის ქვეშიდან დაჭუჭყიანებული წიგნი ამოაძვრინა, დაფლეთილი ფურცლები გაასწორა და კითხვას შეუდგა. პეტრე მხოლოდ უკიდურესს გაჭირვების დროს იღებდა ხელში სახარებას. მაშინ ის მთელი თავის არსებით ერთობოდა კითხვაში და სცდილობდა წვრილად დაწერილ ასოებს შუა ცხოვრების უკეთმართობის მიზეზები აღმოეჩინა.

„სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერა შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერა იცნო,—ამოიკითხა პეტრემ და შეჩერდა. სახე აუღელდა, შუბლზე და ქუთუთოებს ქვევიდან ნაოჭები დაეკეცა.

— აი, სად არის ჭეშმარიტება!.. სოფელმა ვერ იცნო შემოქმედი, გაარისხა იგი და იმიტომ ვიტანჯებით ასე!—პეტრემ წიგნი ტახტზე დააბერტყა და თვალებზე მომდგარი ცრემლები ძლივს შეიკავა:

— ჩემო შვილო, ჩემო ბიჭიკო! —ამოიკვნესა ნატომ და ქმარს შეჰხედა.

— რას ქვითინებ, ადამიანო, ნუ თუ ვერ გაიგე, რომ ყველაფერი ამაოებაა! რამდენიც უნდა ვღვაროთ ცრემლები, ამით საქმეს ვერ უშველით, მორჩა და გათავდა!—ჩაილაპარაკა პეტრემ, ცალი თვალით ბიჭიკოს გვამს ოდნავ შეხედა და თავი ნიდაყვს ჩამოაყრდნო:—საცოდავი ბავშვი... არც კი დაბადებულა და გარდაიცვალა... მაგრამ, ჰო, ვისთვის იყო საჭირო იმისი სიცოცხლე... იქნება კარგადაც მოიქცა, რომ გარდაიცვალა...—პეტრეს გულზე საშინელი ბოლმა მოაწვა, ტანში თავბრუ დამხვევი სისუტე იგრძნო. თვალები ერთს წერტილს მიაშტერა. ბავშვის ცივი გვამი, მძინარე ნუცა და თვალ-ცრემლიანი ნატო, ოჯახის აკეჯეულობასთან ერთად, შეუმჩნევლად წყვდიადმა მოიცო და ერთმანეთს შეეწება.

პეტრემ მოზღვავებულ ფიქრების გასაფანტავად ძალა-უნებურად პირჯვარი გამოისახა და თითების მტვრევა დაიწყო. შემდეგ შეეცადა, სანათური გაესწორებინა, მაგრამ ფიქრმა დასძლია და ადგილიდან ვერ დაინძრა. „არა, რისთვის ვფიქრობ ამდენს, რა საჭიროა!—უსაყვედურა პეტრემ თავის-თავს, მაგრამ შემდეგ ისევ დაუმატა:—სისულელეს ვროჭავ; წარსულისათვის თვალის გადავლება ურიგო როდია"...—განვლილი ცხოვრება კი, თითქო ჯურღმულიდან ამოტივტივდაო, მართლაც ბურუსის მსგავსად შექუჩდა ჰაერში, შემდეგ სრულიად მოულოდნელად დაიძრა და გაქანებულ მატარებელივით გადასრიალდა უსაზღვრო სივრცეში. ის, დურგალი პეტრე, რომელსაც უბანში პატარა ბალღებიც-კი იცნობენ, მრთელი ოცი წლის განმავლობაში, სატეხით და შალაშინით ხელში, მათხოვარივით დადის კარ-დაკ·რ სამუშაოს საშოვნელად. „დურგალი არა გნებავთ?" მოკრძალებით ეუბნება პეტრე სახლის პატრონს. „არა, არ გვესაჭიროება!" მოისმის პასუხად. „თუ საჭირო ვიქნებით, ნუ დამივიწყებთ!" ბუტბუტებს პეტრე და ასე დაეხეტება ეზოდინ ეზოში, სანამ სამუშაოს მოიხელებს ხელში.—შემდეგ შეუდგება მუშაობას. გულჩათხრობილად აღიღინებს რაღაც ერთ-ფეროვანს და დაუსრულებელს სიმღერას. აშალაშინებს და სტეხს ულაზათო ფიცრებს. „რა უშავს, შეიძლებოდეს კაცის გულის გაშალაშინება, ასე ვთქვათ, გასუფთავება...—ფიქრობს პეტრე, ულაზათო ფიცრებისაგან ლამაზად გამონაკთულ ფირფიტებს რომ გადაჰხედავს და თვითონვე უპასუხებს თავის თავს:—არა, არ შეიძლება: კაცის გული კაჟივით მაგარი და შეუდარებელია, იარაღს დააჩლუნგებს"...

შემდეგ პეტრე ოცნებას გადააქვს სოფლად. რა ბედნიერი იყო იმ დროს, დედ-მამის სახლში! სალი და სარკესავით სუფთა ჰაერი, მიმზიდველად ამწვანებული ბუნების წალკოტი, ოქროს-ფერი ყანები... რთველი... აი, დედა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯან-საღი და მოსიყვარულე... აი, მამაც... მხარ-ბეჭიანი, ჭაღარა-შერთული და ტკბილად მოსაუბრე... „ეჰ, ეჰ!" ამოიხვნეშა პეტრემ და გასწორდა.

ოთახი, თითქო წუმწუმას გაჰკრესო, ისევ გაბრწყინდა. დაღვრემილმა კედლებმა ქანაობა იწყეს. ნუცამ ხელები გააქნია და რაღაცა წაიბუდბუტა. ნუცას დანახვაზე პეტრემ მოიგონა ერთი მეტად ძველი, მაგრამ ძნელად დასავიწყებელი შემთხვევა. იმ დროს პეტრე სულ ახალგაზრდა, თითქმის ბალღი იყო, მამა ავად გაუხდა და დიდის ტანჯვის შემდეგ შემოქმედს სული ჩააბარა, სამძიმარზე ხალხი ბლომად მოვიდა და ღამის სათევადაც ბევრნი დარჩნენ. პატარა სახლი სტუმრებს ძლივს იტევდა. პეტრემ, თავისუფალი ადგილი რომ ვერ იპოვნა, ზურგით კედელს მიეყრდნო და დიდხანს იდგა უძრავად. ბოლოს ძილმა დასძლია და თავის კანტური დაიწყო. ამ დროს პეტრეს მიუახლოვდა ვიღაც შავებში გამოწყობილი დედაკაცი, რაღაცა წასჩურჩულა და ტახტზე თავისუფალი ადგილი უჩვენა. პეტრე ენაუთქმელად დაჰმორჩილდა და ტახტზე წამოწვა. ის იყო კიდევაც ჩასთვლიმა, რომ ხალხი შეჩოჩქოლდა. თითქო ლიტანიისათვის ემზადებაო, ადგილიდან დაინძრა. კარები გაიღო და შემოასვენეს ტანდაბანილი და ახალს ტანისამოსში გამოწყობილი მამის გვამი. მიცვალებული ტახტზე დაასვენეს და სარეცელთან წმინდა სანთელი აუნთეს. ტახტი გრძელი იყო, მაგრამ პეტრემ მაინც იგრძნო უსულო მამის სიახლოვე. ბევრს ეცადა მიცვალებულისათვის არ შეეხედნა, შიში გულიდან გადიეგდო, მაგრამ ყოველივე ცდა ამაო იყო: მკვდარი შეინძრა, გულზე დაკრეფილი ხელები მოჩვენებასავით წინ გაიშვირა და ტახტზე წამოჯდა. შემდეგ პეტრეს მიუახლოვდა, ხელი შეახო და წასჩურჩულა: „რა გინდა აქ, პატარავ, აბა, ხელი ჩქარა, გავფრინდეთ იქ, ვარსკვლავთა სამეფოში!" პეტრე შიშმა აიტანა. უნდოდა დაეყვირა, გაქცეულიყო კიდეც, მაგრამ ენა წაერთვა და ადგილიდან ვერ დაინძრა. რომ გამოეღვიძა, გული საშინლად უცემდა. თვალებიდან ცრემლების ნაკადული ჩამოსდიოდა. მეორე დღეს სიცხეში ჩააგდო და ბოდვა დააწყებინა. რამდენიმე თვის განმავლობაში სოფლის ექიმბაში "თვალნაკრავის" წამალს ახვრეტინებდა და ძლივს მომჯობინდა.

„ვინ იცის, იქნებ ეხლა ნუცაც იმასავე ჰგრძნობს მკვდრის ძმის მახლობლად",—გაიფიქრა პეტრემ და ამოიხვნეშა:—„ეჰ, ეჰ, როგორ უკუღმართად მოუწყვია ქვეყანა შემოქმედს... დადის ადამიანი, წელზე ფეხს იდგამს, ოფლსა ღვრის და უცებ უნდა მოკვდეს... და მერე რას წარმოადგენს ეს სიკვდილი? შეიძლება ეს იყოს ახალ ცხოვრების დასაწყისი... მაგრამ, არა... არავითარი ახალი ცხოვრება არ არის... არის მხოლოდ რაღაც მოჩვენების მსგავსი, რომელიც არარაობა... მორჩა და გათავდა!

პეტრემ სრულიად მოულოდნელად შეადარა ადამიანი ღელის წისქვილს და გაიღიმა. აი, კაცის გულივით მღვრიე და გაუმაძღარი ნაკადული გამხეცებული მიექრიალებს წისქვილის ღარში, ეხეთქება ბორბლებს; ბორბლები უაზროდ ტრიალებენ და მოძრაობაში მოჰყავთ წისქვილის ქვა. ქვა უაზროდვე იზი-

**კიევი.** ლიანდაგიდან გადავარდა სამგზავრო მატარებელი. დაიმტვრა ორთქლ-მავალი და რამდენიმე ვაგონი. დაშავდა რამდენიმე მგზავრი.

**მოსკოვი.** დილით სადგურ გოლუტვანოს სახელოსნოებში მოჰკლეს ამ სახელოსნოების უფროსი ინჟენერი ტროფიმოვი.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ავად არის 21 კაცი.

**მოსკოვი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2, ავად არის 27 კაცი.

## მთავრობის მამასახლისები და მათი შენახვა

1906 წლის მეორე-ნახევარში გორის მაზრაში მთავრობის მამასახლისები დააყენეს. დიდი ამბავი მოხდა, გლეხობას ჩამოართვეს ის უფლება. რაც ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ მიენიჭა. ამასთან წინად თუ სასოფლო სასამართლოებში ქართულ ენაზე სწარმოებდა მთელი კანცელარია, მოსამართლეების გადაწყვეტილება და განაჩენები იწერებოდა ქართულ ენაზე, მთავრობის მამასახლისების დაყენების შემდეგ ესეც მოისპო,—მოსამართლეები, მომჩივანი, მოპასუხე ქართულ ენაზე საუბრობენ, წერით კი რუსულად იწერება.

ასეთმა ანაზდეულმა ცვლილებამ გამოიწვია ანორმალური შედეგები. ცხოვრება თავის კალაპოტში აღარ ჩადგა, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ჟამს სოფლის მოხელეები გლეხებისადმი დიდ სისასტიკეს იჩენენ.

ბევრი რამ თქმულა და დაწერილა ამაზე. ბევრიც დაიწერება. მაგრამ ამ ჟამად მე სოფლის მოხელეთა შესახებ ხარჯს შევეხები.

მთავრობის მამასახლისების დანიშვნის შემდეგ სასოფლო მოხელეების ხარჯმა ერთი-ორად და სამად იმატა. წინად თუ მეკომური იხდიდა სოფლის მოხელეების შესანახად 1 მ. 40 კ., ეხლა იხდის 3 მან. და ხან და ხან მეტსაც.

აი ნიმუში სოფლის წინანდელ და ეხლანდელ ხარჯისა მოხელეებზე.

ოქონის საზოგადოებაში სოფლის მოხელეებზე იხარჯებოდა წელიწადში:

| | 1905 წ.-დის: | 1906 წ.-დან: |
|---|---|---|
| მამასახლ. | 300 მან. | 360 მან. |
| მწერალს | 240 " | 360 " |
| 3 სტრაჟნიკს | — — | 900 " |
| 2 ჩაფარს | 480 " | — " |
| 1 გამგზავნს | 120 " | 2 გამგზ. 480 " |
| კანც. მცველს | 60 " | 96 " |
| სახლის ქირა | — — | 204 " |
| კანც. ხარჯი | 60 " | 180 " |
| სულ | 1260 " | 2580 " |

ოქონის საზოგადოებაში ხარჯის გამღები ითვლება 1061 კომლი. წინად მეკომურს გამოჰქონდა სოფლის მოხელეებისათვის 1 მ. 40 კ., ეხლა კი 2 მ. 80 კ.*) მაშასადამე, ამ ანგარიშით ოქონის საზოგადოებას ყოველ-წლივ 1906 წლიდან ზედმეტი გამოჰქონდა 390 მან. 80 კ.

ატოცის საზოგადოებაში სოფლის მოხელეებზე იხარჯება 1906 წლიდან:

| | |
|---|---|
| მამასახლისზე | 360 მან |
| მწერალზე | 360 " |
| 2 სტრაჟნიკზე | 600 " |
| 2 გამგზავნზე | 480 " |
| კანცელ. მცველზე | 60 " |
| კანცელ. ხარჯი | 100 " |
| სულ | 1960 მან. |

ხარჯის გამღები ითვლება 637 კომლი**) და თითო მეკომური 1909 წლის ივლისამდე იხდიდა მოხელეების შესანახად 5 მან., ესე იგი 3185 მან., მაშ ატოცის საზოგადოებასაც ყოველ წლივ მეტი გამოჰქონ და 1225 მან.

ალის საზოგადოება:

| | |
|---|---|
| მამასახლისზე | 360 მან. |
| მწერალზე | 360 " |
| 2 სტრაჟნიკ. | 600 " |
| 2 გამგზავნ. | 480 " |
| კანცელ. მცველ. | 96 " |
| კანცელ. ხარჯი | 100 " |
| სულ | 1996 მან. |

ხარჯის გამღები ითვლება 1245 კომლი. მეკომური იხდის 2 მ. 20 კაპ. მაშასადამე, საზოგადოებასაც ზედ-მეტი გამოჰქონდა 1906 წლიდან—1909 წლამდის 743 მანეთი.

ბრეთის საზოგადოებაში ითვლება 660 კომლი. მამასახლისის ეგაძის ჩვენებით, ხარჯის გამღებია 632 კომლი, თითო მეკომური იხდიდა 1906 წლიდან—1909 წლის 1 ივლისამდის 4 მ. 80 კ. (საზოგადოების ჩვენებით), მთელ საზოგადოებას კი გამოჰქონდა 3033 მ. 60 კ. მოხელეებზე ეხარჯებოდა:

| | |
|---|---|
| მამასახლისზედ | 360 მან. |
| მწერალზედ | 360 " |
| 3 სტრაჟნ- | 900 " |
| 2 გამგზავნი | 480 " |
| კანც. მცველზ. | 84 " |
| სახლის ქირა | 120 " |
| კანცელარიის ხარჯი | 100 " |
| **სულ** | **2404 მან.** |

საზოგადოებას ზედ მეტი გამოჰქონდა 629 მ. 60 კ.

წუნარის საზოგადოებასაც ზედმეტი გამოაქვს ყოველ წლივ 245 მ. 60 კ. ხარჯის გამღებია (მამასახლისის ჩვენებით) 613 კომლი, თუმცა საზოგადოებაში ითვლება 673 კომლი. საზოგადოების ჩვენებით, თითო მეკომური იხდის მოხელეების შესანახად 3 მ. 20 კ., მაშასადამე საზოგადოებას გამოჰქონდა 1906 წლიდან 1961 მ. 60 კ. იხარჯებოდა.

| | |
|---|---|
| მამასახლისზე | 360 მან. |
| მწერალზე | 360 " |
| 2 სტრაჟნიკზე | 600 " |
| გამგზავნზე | 216 " |
| სასლის ქირა | 120 " |
| კანცელიარიის ხარჯი | 60 " |
| **სულ** | **1716 მან.** |

ყორნისის საზოგადოება.

| 1909 წ. | 1 ივლისამდის | 1 ივლისიდან |
|---|---|---|
| მამასახლისზედ | — 360 მ. | — 480 მ. |
| მწერალზედ | — 300 მ. | — 360 მ. |
| 4 სტრაჟნიკზედ | —1200 მ. | 2 სტ. 600 მ. |
| 2 გამგზავნს | — 240 მ. | — 360 მ. |
| სახლის ქირა | — 120 მ. | — 120 მ. |
| მცველს | — 60 მ. | — " " |
| კანცელარ. ხარ. | — 60 მ. | — 60 მ. |
| ს უ ლ | 2340 მ. | — 1980 მ. |

ხარჯის გამღები ითვლება 673 კომლი. 1: ივლისამდის მეკომურს გამოჰქონდა—4 მ. 50 კ., 1: ივლისიდან კი—4 მან., ესე იგი 1: ივლისამდის ზედ მეტი გამოჰქონდა 688 მ. 50 კ. 1: ივლისიდან კი—712 მან.

ამ ანგარიშს რომ არ დავერწმუნოთ, აი მომრიგებელი შუამავალი რასა სწერს ყორნისის მამასახლისს: 1909 წ. 14 აგვისტოს № 9523 ბძანება, რომ მოხელეების ჯამაგირებისთვის მეორე ნახევრის ანგარიშში გასწერეთ და აკრიფეთ 1020 მან. 26 კაპ., მამასახლისის ჩვენებით კი მეორე ნახევრის ანგარიშით გასავალი 890 მან. ნუ თუ მომრიგებელმა შუამავალმაც არ უნდა იცოდეს გასავალი სასოფლო მოხელეებზე და ეს 30 მან. 26 კაპ. ზედ მეტი უნდა მოაკრეფინოს? ახლა ამ საზოგადოების სახლის ქირა აიღეთ. საზოგადოებას საკუთარი შენობა აქვს სასოფლო კანცელარიისთვის, ამ შენობაში მთელი სოფლის მოხელენი, სასამართლო და კანცელარია მოთავსდებიან და სახლის ქირას რაღად ახდევინებენ?

აი მეორე შუამავლის განკარგულება: შუამავალი სწერს ოქონის მამასახლისს: მოხელეების ჯამაგირებისთვის მეორე ნახევრის ანგარიშში გასწერეთ და აკრიფეთო. მამასახლისმაც გასწერა და შუამავალს ფული ჩაუტანა. ზედ მეტი მოკრეფილა 284 მან. 76 კაპ. შუამავალმა ხომ იცოდა, რა იყო ხარჯი, რად მოაკრეფინა ეს ზედ მეტი ფული, მერე ამისთანა მოუსავლობის დროს? მართალია, მომრიგებელმა შუამავალმა გამოუცხადა საზოგადოებას: „თქვენ მოგრჩათ ხარჯს გარდა 240 მან. სასოფლო კანცელარია უნდა შეკეთდეს იმისთვის დაგჭირდებათ და მოიხმარეთ, იმის ხარჯს აღარ შეგაწერთო“ დანარჩენი 44 მ. 76 კ. რაღა იქნა? შეცდომა შეცდომას მოსდევს,—სასოფლო კანცელარიის შეკეთება დაიწყეს, დურგლებს გაურიგდნენ 400 მან. (თუმცა სხვები 240 მან. აკეთებდნენ), წამოვიდნენ და ხელმეორედ შეაწერეს თითო მეკომურს — 28 კაპ. მამასახლისის ჩვენებით ხარჯის გამღები ოქონის საზოგადოებაში 1026 კომლია და არა 1061 კომლი. დავერწმუნოთ მამასახლისს. მაშ კანცელარიის შენობისთვის მოუკრეფიათ ხელ-მეორედ 287 მან. 28 კაპ. ერთად რომ შევკეცოთ 284 მან. 76 კ. და 286 მან. 28 კ. გამოვა 572 მან. 4 კ. სწორედ 400 მან. მოუნდა სასოფლო კანცელარიის შენობას, დანარჩენი 172 მ. 4 კ. სადღა არის.

ერთი კიდევ მაგალითი, რომელიც უკვე გადააყენეს ცხინვალის მომრიგებელმა შუამავალმა როკის საზოგადოების მამასახლისს ბრძანება გაუგზავნა: 1333 მ. შეაწერე საზოგადოებას მოხელეების ჯამაგირებისათვის და აკრიფეო. როკის საზოგადოების მამასახლისმა მოახსენა მომრიგებელ შუამავალს: ეგ შეცდომაა, მოხელეებისათვის საჭიროა 700 მანეთიო. თქვენ ვინა გკითხავთო? შეუტია მომრიგებელმა და მამასახლისმაც შეასრულა მისი ბრძანება. იგივე მომრიგებელი შუამავალი სწერს მამასახლისს: კანცელარიისათვის საჭიროა სამი კუბიკური საჟ. შეშა და დაადგმევინეთო. გადადებული იყო 76 მან. გასავალშიაც ნაჩვენებია. ხელი მოაწერინა მამასახლისს 76 მანეთზე. მამასახლისმა შეშა დაადგმევინა, მაგრამ დაუჯდა 27 მან., რაც კიდეც მოახსენა მომრიგებელ-შუამავალს. გამომიგზავნე ისინი, ვინც შეშა დასდგესო, შეუთვალა მომრიგებელ-შუამავალმა. მუშებმა მიიღეს 27 მან. რამდენჯერმე მამასახლისმა მოაგონა შუამავალს, რომ მე ხელი მოვაწერე 76 მანეთზე და გთხოვთ გადაასწოროთო. მაგრამ გადუსწორებელი დარჩა.

ჩვენ მოვიყვანეთ ექვსი საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა. რაც ზედმეტი აუკრეფიათ ერთად რომ შევკეცოთ, გამოვა 11,767 მან. 50 კაპ.

1909 წლის 1 ივლისიდან ვითომ სასოფლო სამმართველოების ხარჯები შემცირეს და რამდენად სიმართლეს შეესაბამება, მოვიყვან ნიმუშად ბრეთის საზოგადოების მოხელეების ხარჯთ-აღრიცხვას 1909 წ. 1 ივლისიდან:

ხარჯი იყო:

| 1 ივლისამდის: | | 1 ივლისიდან: |
|---|---|---|
| მამასახლისზედ | 360 — | 480 მ. |
| მწერალზედ | 360 — | 360 მ. |
| 3 სტრაჟნიკზედ | 900 — | 1 სტრაჟ. 300 მ. |
| 2 ჩაფარზედ | 480 — | 3 ჩაფ. 720 მ. |
| კანცელ. ხარჯ. | 100 — | 100 მ. |
| მცველს | 84 — | 84 მ. |
| სახლის ქირა | 120 — | 120 მ. |
| „რაზიეზდნი კამანდისთვის“ | | 275 მ. |
| ს უ ლ | 2404 მ. | — 2439 მ. |

ყველაფერი, რაც ზემოდ ავღნიშნეთ, წვრილმანი არ არის. სოფლისთვის ყოველ კაპიკს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ურიგო არ იქნება, უმაღლესმა საგუბერნიო მთავრობამ ყურადღება მიაქციოს სასოფლო საზოგადოებათა ხარჯის მოწესრიგებას.

Legatus.

*) ხან და ხან 3 მან. იკრიფებოდა.

**) თუმცა ხარჯის გამღები მეტია, ესე იგი 670 კომლი, მაგრამ ისიც ოფიციალურ ცნობებით ესარგებლობ.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **კრების გაგრძელება.** დღეს, 20 დეკემბერს, წერა-კითხვის საზოგადოების კრება განაგრძობს სხდომას განსახილველ საქმეთა დასამთავრებლად. სხვა საქმეებს გარდა დღეს უნდა მოხდეს არჩევანი ქალთა წრის კომისიისა, რომელიც გამგეობასთან ერთად იმუშავებს. ქალთა ერთ წრეს უკვე შეუდგენია სია კანდიდატებისა ამ კომისიაში და გვთხოვენ დავბეჭდოთ აი ეს სია: ნინო ნაკაშიძე, ალ. ფალავა, თამარ გოგოლაშვილი, თამარ ფალავანდიშვილი, ელის. ელიავა, ანნა ხახუტაშვილისა, ელ. აფხაზი, ნიცა მაჰუტაძე, გომართელი, ელენე ჰიჰინაძე, თამარ ჩიჩავაძე, ნინო რცხილაძე და ბაბ. მაღალაშვილი.

✦ **ექსარხოსის ინოკენტის დეპეშა.** ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატების კრებამ თავის დეპეშის საპასუხოდ საქართველოს ახალ ექსარხოსის ინოკენტისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „გულწრფელ მადლობას ვსწირავ სამღვდელოების კრებას მოლოცვისათვის. გთხოვთ, მიმიღოთ მეც ეპარქიის მუშაკთა წრეში. მოვალ თქვენთან ქრისტიანულ სიყვარულითა და მშვიდობით. მწადს მთელი ჩემი ძალი და ღონე ივერიის ეკლესიის საქმეთა მოწყობას შევსწირო და თქვენთან ერთად ვიზრუნო სამღვდელოებაზე; ვუგზავნი მამა დეპუტატებს ჩემს კურთხევას; ვუსურვებ სიცოცხლეს „მრავალ ჟამიერ“ დეპეშის წაკითხვის შემდეგ ერთმა რუსმა მღვდელმა დაიწყო მღერა „მრავალ ჟამიერისა“ და მას ბანი მისცეს სხვა დეპუტატებმაც.

✦ **კითხვები.** ავჭალის აუდიტორიაში დღეს, 20 დეკემბერს, დილის 11 საათზედ, პირველად იწყება ქართული კითხვები. პატარებისათვის ქ-ნი ასათიანისა წაიკითხავს „ზოლუშკას“, ხოლო მოზრდილთათვის ქ-ნი ელ. ელიავასი — „შვლის-ნუკრს“, ვაჟა-ფშაველასი. საექიმო საზოგადოებაში ალექსანდროვის ბაღთან ქ-ნი მოლოდინოვისა წაიკითხავს „გრენზელდ გრეტელს“, „ვანო და მაშოს“ ქ-ნი ავალიანისა—„იავნანამ რა ჰქნა“—იაკობ გოგებაშვილისა.

✦ **ლექცია და საღამო.** 27 დეკემბერს ტფილისში გაიმართება ლექცია, კონცერტი და საცეკვაო საღამო მცხეთის ოთხკლასიან ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ. მოთავენი სცდილობენ საღამო კარგად მოაწყონ. საღამო გაიმართება ბირჟის სადგომის დარბაზში,

✦ **„საქართველოს მოამბე“** დღეს გამოვა ყოველ-კვირეულ ჟურნალს „საქართველოს მოამბის“ მორიგი ნომერი შემდეგის შინაარსით: „ცხოვრება და ჩვენ“—ფ. გოგიჩაიშვილისა, „სონეტი“—ი. გრიშაშვილისა, „გიკვირთ?“—ვაჟა-ფშაველასი: „ჩვენი ბედი“—Baton-ის, „ჰანგები“—ი. მჭედლიშვილის, „შინაური მიმოხილვა—***, „მისს-მარჯორი ვორდროპი“—B—ის, „ასპიროზის დახვრეტა“—ნ. ნაკაშიძისა, „მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა“—იპ. ვართაგავასი და „სიმართლის გზის შეკვრა“—ი. გოგებაშვილისა.

✦ **პატენტები.** ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციელებს, აცნობონ ვაჭრებს რომ მათ პატენტები უსათუოდ 1 იანვრამდის აიღონ.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს ხვალ, 21 დეკემბრის სხდომაზე 20 განსახილველი საქმე წარედგინება ამ დღეს, სხვათა შორის, დანიშნულია არჩევანი გამგეობის წევრისა ნაცვლად ნ. პ. კოკჩაევისა. რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა.

✦ **ყალბი ბეჭედი.** 18 დეკემბერს ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა იარმუკაში ბარხუდაროვის, ოჰანეზოვის და სხვა ყასბების დუქნებში აღმოაჩინეს 36 ხბო და ერთი ძროხა, რომელსაც საქვეო ბეჭედი ესვა და ძალიან ჰგავდა ქალაქის-ბეჭედს, ბეჭედი ბეითალმა შეამოწმა და ყალბი აღმოჩნდა. ყასბები პასუხის გებაში მისცეს.

✦ **ქალის გატაცება.** როგორც სოფელ შვინდისიდან (ტფ. მაზრა) გვატყობინებენ, 16 დეკემბრს 6 შეიარაღებული კაცი თავს დასცემია ამ სოფლის მცხოვრებს აფიციაურს და გაუტაცნია გასათხოვარი ქალი სალომე აფიციაური. გამტაცებელის ვინაობა ჯერ არ იციან.

✦ **სამღვდელოების წარმომადგენელნი.** ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატებმა მღ. ნ. თალაკვაძისა და ი. ჩიჟავაძის ნაცვლად ტფილისის სასულიერო სემინარიის საბჭოში წარმომადგენელებად აირჩიეს მღვდლები მიხაილოვსკი და ჯიოევი.

✦ **შუამდგომელობა არ შეიწყნარეს.** ქალაქის სკოლების გალობა-სიმღერების მასწავლებლებმა შუამდგომლობა აღსძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე ჯამაგირის მომატების შესახებ, ეს შუამდგომლობა სასკოლო კომისიამ არ შეიწყნარა.

✦ **ქალაქის თავი საქიმოდ წავიდა.** 18 დეკემბერს ტფ. ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი ბაქო-ბალაჯარის გზით პეტერბურგში წავიდა საქიმოდ. ავადმყოფი საკაცეთი მიიყვანეს სადგურზე და განსაკუთრებულ ვაგონში დააწვინეს. გააცილეს ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ი. ხატისოვმა, გამგეობის წევრებმა თავ. ალ. მ. და ნ. ე. არგუთინსკი-დოლგორუკოვებმა, ნ. პ. კოკჩაევმა, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა, ზოგიერთა ხმოსნებმა, მოხელეებმა და პატივისმცემლებმა.

✦ **ახალი თხზულება საქართველოს შესახებ.** ცნობილი პატრი მიხეილ თამარაშვილი, რომელიც რომში სცხოვრობს, დაუცხრომლად მუშაობს, შესდგომია თავის ახალ თხზულების ბეჭდვას: „საქართველოს ეთნოგრაფიული, პოლიტიკური და საეკლესიო ისტორია“. იგი ფრანგულად არის დაწერილი. წიგნში ჩართული იქნება მრავალი ქარტა და სურათი.

✦ ტფ. ქალაქის სასკოლო კომისიამ დიდის მთავრის მეუღლის ოლღა თეოდორეს ასულის სახელობის სტიპენდია 18 დეკემბრის სხდომაზე დაუნიშნა კენჭის ყრით ანნა იოსების ასულს ტერ-გრიგორიოვისას, რომელიც პეტერბურგის სამკურნალო ინსტიტუტში სწავლობს.

## სასამართლო

**ბოქაულის მიქიაშვილის საქმე.**

12 დეკემბერს, როგორც უკვე ვწერდით, ოდესის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ცნობილ ბოქაულის მიქიაშვილისა, რომელმაც აქ ყოფნის დროს გურია აიკლო. მიქიაშვილი, გარდა იმისა, რომ კავკასიაში სამსახურის დროს ჩადენილ დანაშაულისათვის არის პასუხის გებაში მიცემული, ოდესაშიც მრავალი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია, რის გამოც დამნაშავის სკამზედაც დაუსვამთ. როგორც საბრალმდებლო ოქმი გადმოგვცემს, მიქიაშვილს ოდესაში ბოქაულად ყოფნის დროს დიდი ძალი ფული მიუთვისებია და გაუფლანგნია. მას ორი საბოქაულო ნაწილი ჰბარებია და რაც ფული შესულა: ან ბინის გადასახადი, ან ჯარიმები, სულ თვითონ მიუთვისებია. მიქიაშვილი არ ერიდებოდა თურმე იმ ფულის გაფლანგვასაც, რომელიც მას ეძლეოდა საბოქაულო სამმართველოს და დაპატიმრებულთა შესანახად. მიქიაშვილს [illegible] ში სამსახურის დროს სულ 10960 მანეთი და 63 კაპ. გაუფლანგავს [illegible] ბია. [illegible] უბრუნებია. წინასწარ გამოძიების დროს მიქიაშვილს თავი დამნაშავედ უცვნია და განუცხადებია: როდესაც ოდესაში დამნიშნეს ბოქაულად, დიდს სიღარიბეს განვიცდიდი, როდესაც საჭირო იყო ჩემი საბოქაულოს გაცნობა. ამასთან ხშირად დავდიოდი, გრადონაჩალნიკის მონდობილებით, ქალაქ გარედაც და აგრეთვე ვურიგებდი ფულს იმ აგენტებს, რომელთა ყოლაც დამაკისრა გენერალმა ტოლმაჩევმაო.

სასამართლოში მოწმების გამოკითხვით გამორკვეულა, რომ მას ტოლმაჩევისაგან არა ჰქონია დავალებული აგენტების შენახვა, არც ქალაქს გარედ გაუგზავნია იგი, პირიქით სულ ლოთობასა და ქალებთან არშიყობაში ატარებდა თურმე დროს.

პალატას მიქიაშვილი დამნაშავედ უცვნია სახაზინო ფულის გაფლანგვაში და მიუსაჯნია სამი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ამასთან დაუდგენია: ამ განაჩენის სისრულეში მოყვანა შეაჩეროს იმ დრომდე, სანამ მეორე ბრალდებას განიხილავდნენ ქუთაისში.

**მაძიებელ პოლიციის აგენტის მოკვლა.**

1909 წელს, 18 სექტემბერს ტფილისში, სომხის ბაზარში ვიღაც უცნობებს რევოლვერით მოუკლავთ მაძიებელ პოლიციის აგენტი აბგარ სარქისოვი, დაუჭრიათ—მისი ამხანაგი ლეონ ეგიაზაროვი და შემთხვევით ვამლელი გიმნაზიელი. საქმე ასე ყოფილა: სარქისოვი და ეგიაზაროვი მიდენილან ერევნის მოედნიდან სომხის ბაზრისაკენ და როდესაც ჯაბაროვის ხალიჩების მაღაზიას მიახლოვებიან, მათთვის უკანიდან რამდენჯერმე რევოლვერი დაუხლიათ. სარქისოვი იქვე მომკვდარა, ხოლო დაჭრილ ეგიაზაროვს მოუსწრია საკანდიტეროში დამალვა. თავს დამცემი ბევრი ყოფილა, მაგრამ ეგიაზაროვს, როგორც თითონ ამბობს, კარგად დაუხსომებია ორის სახე. ესენი გამომდგარან ივანე ბეგიევი და არშაკ ტურაბიანცი. სროლაზე მოცვივნულან პოლიციელები და გამოსდევნებიან უცნობებს, მაგრამ ისინი მიმალულან. შემდეგ როდესაც დაუპატიმრებიათ ივანე ბეგიევი და არშაკ ტურაბიანცი, ეგიაზაროვს და პოლიციელებს უთქვამს: სწორედ ესენი იყვნენო. ეჭვით დაუპატიმრებიათ აგრეთვე აბგარ აკოფოვი, ავეტის პეტროსიანცი, ალექსანდრე მიროტაძე და სარქის შახვერდოვი, რომელნიც ბეგიევისა და ტურაბიანცთან ერთად სამხედრო სასამართლოში მიუციათ. საქმის გარჩევა ტფ. ოლქის სამხედრო სასამართლომ 17 დეკემბერს დაიწყო. სამი დღის განხილვის შემდეგ სასამართლომ ყველა ბრალდებული გაამართლა.

## რუსეთი

✦ **სახელმწიფო სათათბიროში.** „კასპ“, პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სათათბიროს კომისიას უნდა განეხილა კადეტების შეკითხვა პეტერბურგის დამცველ პოლიციის კარპოვის მოკვლის შესახებ. კომისიის თავჯდომარემ, დეპუტატმა შუბინსკიმ კომისიის სხდომაზედ დაიბარა სათათბიროს ბოქაული. ბოქაული კომისიის მთელ სხდომაზედ დაესწრო. როგორც გამოირკვა შუბინსკის აზრით, კომისიის მემარჯვენე წევრებმა ჩხუბი არ ასტეხონო და წინ და წინვე ზომები მიუღია,

## მოწერილი ამბები

**კახეთი.** შარშან მაინცა და მაინც არც ისეთი დიდი ღვინის მოსავალი იყო კახეთში, როგორც ხმა გავარდა. მართალია, ღვინის მოსავალი. თითქმის ყველგან კარგი მოვიდა, მაგრამ იმდენი კი არა, რომ წლის ფასად გახდა საერთო ქესატობამ, ზამთრის ადრე დაწყებამ, უგზოობამ და მევენახეთა გაჭირვებამ მლთად დასცა ღვინის ფასი. გლეხები ჩაფს 70—80 კაპ. ჰყიდდნენ ნარხ-ვაჭრებზე. არა ნაკლებ ნეტარებაში მყოფ თავად-აზნაურობას კიდევ მიჰყავდა ჩარხი სავსე მარანში, უხდიდა ყველა ქვევრს და შიგ არჩევით აძლევდა საპალნეს 25—30 მანეთად საუკეთესო ღვინოს. ბევრგან საპალნეს 32 ჩაფის მაგიერ 33—34 ჩაფს ანგარიშობდნენ, ჭაშნიკი კიდევ სხვა იყო. შარშან ჩვენკენ სირაჯს პირი არ უქნია, სულ ბირჟუმებმა გაზიდეს მთელი კახეთის ღვინო. მერე ყველამ ბირჟუმობა დაიწყო, ხარაზმა, ვაჭარმა, ბაყალმა თუ გაკოტრებულმა ბაზაზმა. იქნება მკითხველმა არც-კი იცოდეს, რა არის ბირჟუმი. ეს გახლავთ ისეთი პირი, რომელიც ღვინით ფეხზე გაჭრობს. მწარმოებელ და სირაჯს შორის ტრიალებს და ფულს იგებს. აქ ღვინოს ყიდულობს, ჩაიქვს ტფილისში და იქ ასაღებენ მედუქნეებზე.

აი ამრიგად, ღვინო ნაღის ფასად გახდა, რამაც ძრიელ და ძრიელ იმოქმედა წლევანდელ მოსავალზე. ყვე-

დავს ხორბალს და ჰფქვავს... ეს არის სიცოცხლე... მაგრამ, აი, სრულიად მოულოდნელ შემთხვევის გამო, ნაკადულმა დენა შეწყვიტა. ბორბალი აღარ ტრიალებს. ქვაც აღარა ჰფქვავს ხორბალს. მოკვდა. ადამიანიც. ამნაირადვე სცოცხლობს და კვდება, მეტი არაფერი... ხელის ჩაქნევით გაიფიქრა პეტრემ და მიიხედ-მოიხედა.

— არა, რად მინდოდა მე ცოლი, რად მინდოდა შვილი?.. რა მიშავდა მეცხოვრა ჩემთვის უდარდელად! —ხმა მაღლა სთქვა პეტრემ.

— მართლაც რომ არ იყო შენთვის საჭირო ცოლშვილი!—გააწყვეტინა ნატომ:—ოჯახობას ის უნდა მოეკიდოს, ვინც მყრალ სარდაფებში არ იმალება...

— ე...ე...ე... მოჰყევი ეხლა შენებურად!.. არა, ჩემო ნატო, უფრო ადრე უნდა გცოდნოდა, რომ მე სამკაულის პატრონი არ ვიყავი და ცოლშვილს ვერ გავანებივრებდი, თორემ ეხლა გვიან არის საყვედური.

— ჰაი, ჰაი, რომ მაგრეა!—დაეთანხმა ნატო და თავი ძირს ჩაჰკიდა.

— ნუ შეგეშინდება, ნატო, მიიხედ-მოიხედე გარშემო, განა მარტო ჩვენ ვიტანჯებით!—ხმა დაიდაბლა პეტრემ და ჩიბუხი გაბოლა ნატომ პასუხი არ გასცა.

„საბრალო ქალი... მართლაც რომ ვერა ჰყავს ღირსეული ქმარი“!..—გაიფიქრა პეტრემ და გული ცოლისადმი სიბრალულით გაევსო.

ა. წუწუნავა.

(დასასრული იქნება)

და იმასა ჩიოდა, მოუსვლელობა სჯობდა ასე გათხრებასაო, და ვენახის მემუშავებას ყურადღებას აღარავინ აქცევდა. ბევრმა სოფლის გლეხმა, ვისაც ორსამგან ჰქონდა ვენახი, ერთგან გადასჭრა ან თავი მიანება—გაკეთებად არა ღირსო. ბარვა-თოხნას ხომ ყველამ უკლო, ისეც ისა სჯობია, გუთანზე გავიდეთ ან დღიურად ვიმუშაოთ სადმე უფრო მეტს ავიღებთო. წამლობიდამაც უმრავლესობამ, ნამეტნავად სოფლის წვრილ მემამულეთ, მარტო ერთხელ უწამლეს. ვენახს ძრიელ ხელი დააკლდა, რასაც ზედ დაერთო ხანგძლივი გვალვა. დაიჭირა უზომო სიცხეები, ნამი აღარსად მოჰხვდა, მარცვალი არ დამსხვილდა და მტევანი ძრიელ გათხელდა.

—

შარშანდელი წლის მოსავალი ყველას ხელში გამოუწყალდა. აგვისტოში ღვინის ფასმა უცბად აიწია; ვინც 30 მან. ეხვეწებოდა საპალნეს და წამღები მაინც არავინ იყო, მან 50—80 მან. გაჰყიდა. ამ ღვინის ფასის აწევით ჩვენ გლეხს არაფერი უსარგებლნია. მან ნახევარ თუ ნამესამედ ფასად ზამთარშივე მოიშორა. თუ ისარგებლეს, ისევ მსხვილმა მემამულეებმა. ამათ მარნები ისევ გაუჭრელი ჰქონდათ და კარგ ფასადაც გაჰყიდეს.

ხანგრძლივ გვალვას სეტყვაც ზედ დაერთო. გაზაფხულიდან დაწყებული, დრო გამოშვებით ძრიელ ბევრ სოფელს ეწვია ეს მევენახის დაუპატიჟებელი სტუმარი და მაშინაც-კი ბევრი ვენახი გაავუჭა, როცა ყურძნის დასაკრეფად გოდრები ჰქონდათ შეტანილი.

ამის შემდეგ ცხადია, ნაკლები მოსავალი იყო მოსალოდნელი, მხოლოდ ისეთი-კი არა, როგორიც ნამდვილად აღმოჩნდა. ყურძნად კიდევ არა უშავდა-რა, თვალით სჩანდა, მაგრამ გამოსავალი სრულებით არა ჰქონდა. სიცხისაგან მარცვალი არ დამსხვილებულა, ქერქი მსხვილი შერჩა, წვენი-კი ნაკლები, რისთვისაც გამოსავალიც არა ჰქონდა, მხოლოდ ჭაჭა დადგა ბევრი. ღვინო წელს კახეთში საშუალოზე ბევრით ნაკლები მოვიდა.

ეს არის, რომ ღვინო კარგი თვისების დადგა. ყურძენი ძალიან მოიწია. ამისთანა კარგი ღვინო დიდი ხანია არ დამდგარა კახეთში. რასაკვირველია, როცა ცოტა მოვა, კარგი ფასი უნდა უნდა ჰქონდეს, მაგრამ საპალნე 40—70 მან. იყიდება, რაც ძრიელ ნაკლებ ფასად უნდა ჩაითვალოს. **ეული.**

—

**ხონი.** აქეთ ეს ერთი ხანია მეტისმეტად კარგი ამინდებია. გავიდა ქრისტიშობისთვის ნახევარი და ჯერ თოვლი არ მოსულა. წარსულ წლებში არა თუ ქრისტიშობისთვეში, არამედ გიორგობისთვეშიაც კი მოდიოდა თოვლი და დგებოდა ყინვები.

ილია ბახტაძეს მოუვიდა ნებართვა გუბერნატორისაგან სამ იანვარს წაიკითხოს ლექცია ამ თემაზე: „ჩარგულდ პოეტი ვარლამ რუხაძე“.

კარგი იქნება ჩვენსკენ ლექციები წაიკითხონ ერობის შესახებ. ლაპარაკია ერობის შემოღებაზე და გლეხ-კაცობამ კი არაფერი იცის. ერთმა გლეხმა მითხრა: რაღა გვიჭირს, ერობის დროს მამასახლისების მოვრობა მისცემს ჯამაგირს და ჩვენ მამასახლისები უფასოდ გვემსახურებიანო. სასურველია, წ.-კ. გ. საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ მოიწვიოს ლექტორი და წააკითხვინოს ლექცია ერობაზე.

წ.-კ. საზოგადოების განყოფილებამ ენკენისთვეში ითხოვა მაღაზიის გახსნის ნებართვა. გავიდა მას შემდეგ ოთხი თვე და ეხლა, როგორც იყო მოუვიდა ნება მაღაზიის გახსნისა. მაღაზია უკვე გაიხსნა. **ვინმე ქართველი**

## პოლკოვნიკ კარპოვის მოკვლა

1

**ბურცევი პეტროვზედ.**

ბურცევი „მატენში“ პეტროვის (პეტროვი ნამდვილი გვ რია ვოსკრესენსკისა, კარპოვის მკვლელისა) შესახებ სწერს: 1906 წელს პეტროვი დააპატიმრეს ყაზანში. მას სახლში უუმბარების საწყობი უპოვეს. პეტროვმა თავი მოიავადმყოფა, რისთვისაც საავადმყოფოში მოათავსეს. პეტროვმა გაქცევა მოახერხა. პეტროვი რამდენიმე ხანი რუსეთში იმალებოდა, შემდეგ საზღვარ-გარედ წავიდა. 1908 წელს პეტროვი რამდენიმე რევოლიუციონერთან ერთად სარატოვში წავიდა. სარატოვში პეტროვი და რევოლიუციონერები დააპატიმრეს. ყველა ესენი გასცა პროვოკატორმა—ქალმა ცეიტლინმა. საპყრობილეში დამცველი პოლიციის აგენტებმა პეტროვს წინადადება მისცეს, აგენტობა ეკისრნა და თანაც აზეფის ისტორია უამბეს. პეტროვი თვალების ასახვევად დასთანხმდა სულით და გულით კი ისევ რევოლიუციონერი დარჩა. ერთ დროს გერასიმოვს ეჭვი შეეპარა პეტროვის გულწრფელობაში, იგი დააპატიმრეს და ბორკილებიც კი დაადეს. პეტროვმა ისე წაიყვანა საქმე, რომ იგი საავადმყოფოში მოათავსეს, როგორც ჭკუაზედ შეშლილი. პეტროვი საავადმყოფოდან გაიქცა. შემდეგ პეტროვმა დამცველ პოლიციას წერილი გაუგზავნა, შეცდომა ჩავიდინე, მაპატიეთ და ისევ თქვენთან ვიმუშავებო. პოლიციამ მართლაც დაიჯერა და პეტროვი ხელმეორედ მიიღეს აგენტად. ხელმეორედ აგენტად მიღების დროს პეტროვმა დამცველ პოლიციას პირობა დაუდვა, უნდა „ჩაიჭმალოთ“ სარატოვში დაპატიმრებულთა რევოლიუციონერების საქმეო. დამცველი პოლიცია დასთანხმდა. სარატოვში წავიდა თვით გენერალი გერასიმოვი და ყველაფერი მოახერხა. რევოლიუციონერები თავდებით გაანთავისუფლეს. რა თქმა უნდა მათ ამით ისარგებლეს და საზღვარგარედ გაიქცნენ. ამის შემდეგ პეტროვი პეტერბურგში წავიდა და აქ გერასიმოვთან, კარპოვთან, აზეფთან დიბიჩთან და დობროსკოკოვთან ერთად პეტერბურგის საუკეთესო რესტორნებში დაიარებოდა და თვეში 1000 მანეთს ღებულობდა. პეტროვი ერთ დროს ბერლინში მოხვდა, სადაც ნახა ცნობილი რევოლიუციონერი ბარტოლდი და ყველაფერში გამოუტყდა. ბარტოლდი და პეტროვი პარიზში წავიდნენ. პარიზში პეტროვმა პარტიის მთავარ კომიტეტს სთხოვა, ნება დაერთოთ, მოეკლა ვინმე დიდი პირი და ამით გამოესყიდნა თავისი დანაშაული. პეტროვი პარიზში კარგა ხანი დარჩა. გერასიმოვი ამ დროს მას გაფაციცებით დაეძებდა. გერასიმოვმა მის მოსაძებნად პარიზში გაგზავნა პოლკოვნიკი დიბიჩი. პეტროვმა დიბიჩს განუცხადა: პეტერბურგში კი წამოვალ, მაგრამ კარპოვმა მარტოდ-მარტო უნდა მნახოსო. პეტროვი პეტერბურგს წავიდა, კარპოვმაც მართლაც იგი პირისპირ ნახა. კარპოვთან მოლაპარაკების შემდეგ, პეტროვმა ოთახი დაიჭირა და ეს კარპოვი მოჰკლაო.

**ჟორესის წერილი.**

„რუს. სლ.“-ს პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ: ჟორესმა თავის გაზეთში ვრცელი წერილი დასტამბა პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსის პოლკოვნიკ კარპოვის მოკვლის შესახებ. ჟორესი თავის წერილში ჰკიცხავს რუსეთის საიდუმლო პოლიციის მოქმედებას და თხოულობს, რომ საზღვარგარედ რუსეთის საიდუმლო პოლიცია მოისპოსო.

„რ. სლ.“ სიტყვით, სოციალისტ-რევოლიუციონერების მთავარი კომიტეტი ამ დღეებში საფრანგეთის გაზეთებში დაჰბეჭდავს წერილს, რომელშიაც გამოარკვევს კარპოვის და მისი მკვლელის პეტროვის მოქმედებას.


კირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ს. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბეპიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღდინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—1½ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცინოვსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—239)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—26)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ს ა ბ უ რ თ ა ლ ო ზ ე
ოლგას ქუჩაზე, № 88, წურინოვის რიგზე
იყიდება ცარიელი მიწა,
ზონით 2185 ოთხ-კუთხი საჟენი.
საჟენი 5 მანეთად.
მიმართეთ მეოთხე ნაწილში, ორბელიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში, № 34. (1—793—1)

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის
ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

მათრახი
და სალამური
ყოველ-კვირეული იუმორისტული ჟურნალი
ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად
პრემიათ გაეგზავნება
ახალი კრებული
ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.
წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მან.
მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.
ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუცილებლად შემოიტანონ პირველ ივნისამდე. ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს, პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მან. 50 კაპ. დანარჩენი 2 მან, 50 კაპ. პირველ ივნისამდე.
1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: აზიანი, ბლიაძე, ანდუის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზ. მლეთელი, თურდოს-პირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, ...შვილი, პიტნ, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქიაშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.
ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе. (10—ნ.—8)

ნიკოლოზ ანტონის ძე საგაევი
ქ. ბ ა თ ო მ შ ი.
რადგან ბათომის, ქუთაისის და მისივე მაზრის ბევრმა მცხოვრებმა არ იცის ჩემი სავაჭროს გადატანა ახლად აგებულ „პ ა ს ა ჟ შ ი“, და ამასთან რადგან ბლომად მაქვს მოგროვილი დიდი ხნის საქონელი და აგრეთვე მიღებული მაქვს დიდ-ძალი ახალი საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებისა, ამიტომ
გაიმართა ძლიერ გაიაფებული ბაზარი 7 ამა ქრისტეშობისთვიდან ვიდრე დამლევამდის.
ფასები დაკლებული იქნება ჩვეულებრივზე 20-დან 60 პროცენტამდის ყველა ქვემო-ჩამოთვლილ საქონლებზე: ყოველ-გვარი მუშეულობა, ფარფორის და ფაიანსის სერვიზი, ლამპეული ნავთისა და ელექტრონისა და მისი პროვოდები, ბრონზეული, მელხიორის დანა-ჩანგლები, სპილენძეული, სამოვრები, ემალ-გადაკრული ჭურჭლეული და სამზარეულოს ყოველ-გვარი მოწყობილება—ფეჩქები, ქურნები ნახშირისა, შეშის თუ ნავთისა, გლიინვეიი. ყოველ-ნაირი მებელი, სკამები, სარკეები, პირის საბანებლები, რკინის კრაოტები, მატრაცები და სხვა ბევრი ამგვარი საქონელი იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება მობრძანდება და თვით დარწმუნდება, რომ მართლაც ძლიერ იაფი ფასებია დანიშნული საქონელზე. ვაჭრობა ნაღდზეა და გადაწყვეტილი ფასიც საქონელზეა დაწერილი. (10—ფ.—8)

● სათამაშო ბაზარი ხელ-ახლა გაიხსნა ●
ახალი და გაბმანათლებელი სათამაშოები და გასართობები იყიდება იაფად, მოსკოვის ფასებში. სასწავლებლებსა და დაწესებულებებს ღირებულ ფასზე 15% დააკლდებათ. პროვინციაში გაიგზავნება ფასდადებით. დამზადებულია მოსართავი შობის ხისათვის ერთი მანეთიდან.
ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, N 23. მაღაზია „ბიჟუთერი იმიტასიონ“. (3—გაკ.—2)

სანერგე ამერიკულ ვაზისა
„კლდ-ფვურული“ ქუთაისში.
● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—ნ.—14)

I მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ. ნაწილად I მანეთიდან
● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე. სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაკ.—14)

21, 22, 23 და 24 დეკემბერს უკანასკნელი დღეებია
სამოზაო ბაზრისა
სათცარი იაფობა
პ. ს. დოროფეევის
მ ა ღ ა ზ ი ა შ ი
სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი, ტელეფონი № 583.
დასახელებულ დღეებში, ესე იგი 21, 22, 23 და 24 დეკემბერს
ყველა ცხრა სპეციალურ განყოფილებაში ყველა საქონელი
გაიყიდება იაფად
მაუდის საქონლის განყოფილებაში ყველაფერი იაფია
შალის მატერიების განყოფილებაში ყველაფერი იაფია
აბრეშუმეულობის განყოფილებაში ყველაფერი იაფია
ტილეულობის განყოფილებაში ყველაფერი იაფია
კაცის საცვლის განყოფილებაში ყველაფერი იაფია
ბამბის ფერად ქსოვილთა განყოფილებაში ყველაფერი იაფია.
ქალის საცვლის განყოფილებაში ყველაფერი იაფია
სამხედრო მატერიების განყოფილებაში ყველაფერი იაფია
ტრიკოტაჟის ნაწარმოების განყოფილებაში ყველაფერი იაფია
ფანჯრებში გამოკიდებულია საქონელი ყველა ცხრა განყოფილებიდან და თან აღნიშნულია საოცრად იაფი ფასები.
უკანასკნელი დღეები დიდ იაფობისა
21, 22, 23 და 24 დეკემბერი. (0—ნ.—1)

პროვოდნიკის
1897 წ.
1888
1908 წ.
ამხანაგობა
რ ი გ ა შ ი
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
მომავალ დღესასწაულებისთვის
მიღებულ იქმნა შემდეგი ნივთები:
შობის ხეებისთვის ასბესტის თოვლი, რომელიც არ იწვის.
რეზინის სათამაშოები.
მხეცები, ტიკინები და ბურთები
დიდ-ძალი უჯრებიანი სუფრები
იყიდება ცალობით და არშინობით.


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.